ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №34
2012 წლის 22 ოქტომბერი

ქ.ბოლნისი

ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის, ,,ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების თობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 29 აგვისტოს №726 ბრძანებულებისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

1. განისაზღვროს ბოლნისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს შემდეგი განაკვეთები:

ა) საკრებულოს თავმჯდომარე – 2650 ლარი;

ბ) საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე – 1900 ლარი;

გ) საკრებულოს კომისიის თვმჯდომარე –1050 ლარი;

დ) საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე – 1050 ლარი;

ე) საკრებულოს აპარატის უფროსი – 1290 ლარი;

ვ) საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე – 790 ლარი;

ზ) მთავარი სპეციალისტი–560 ლარი;

თ) წამყვანი სპეციალისტი – 520 ლარი;

2. განისაზღვროს ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს შემდეგი განაკვეთები:

ა) გამგებელი – 2650 ლარი;

ბ) გამგებლის მოადგილე – 1500 ლარი;

გ) გამგეობის სამსახურის უფროსი – 1290 ლარი;

დ) გამგეობის სამსახურის განყოფილების უფროსი – 810 ლარი;

ე) გამგებლის თანაშემწე – 790 ლარი;

ვ.) თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი – თვითმმართველი ერთეულის რწმუნებული – 1290 ლარი;

ზ) მთავარი სპეციალისტი – 560 ლარი;

თ) წამყვანი სპეციალისტი – 520 ლარი;

ი) უფროსი სპეციალისტი – 470 ლარი;

კ) სპეციალისტი – 400 ლარი.

მუხლი 2

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 30 ივლისის №9 დადგენილება.

მუხლი 3

ეს დადგენილება ამოქმედდეს 2012 წლის პირველი ნოემბრიდან.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ნოდარ საბიაშვილი**